მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი 2018 - არაბული ქვეყნები

მაია ზბიბი / Maya Zbib /

თეატრის რეჟისორი, პერფორმერი, მწერალი, თეატრალური კომპანია Zoukak-ის თანადამფუძნებელი

ეს არის მომენტი ურთიერთობის, განუმეორებელი შეხვედრის, რომელსაც თქვენ ვერ იპოვით სხვა საერო საქმიანობაში. ეს არის აქტი, ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფისა, რომლებმაც აირჩიეს, შეკრებილიყვნენ ერთიდაიგივე ადგილასა და დროს, რათა გამოცდილების გაზიარებაში მიეღოთ მონაწილეობა. ეს არის ინდივიდების მოწვევა ჯგუფში, იდეების გაზიარებისთვის, იმისთვის რომ დავსახოთ გზა და გადავინაწილოთ მოქმედების აუცილებელი ტვირთი... იმისთვის რომ ვიპოვოთ უფრო მეტი მსგავსება, ვიდრე განსხვავება. ეს ის ადგილია, სადაც შეიძლება კონკრეტულმა ამბავმა გაავლოს უნივერალურობის ხაზები.. სწორედ აქ არის თეატრის მაგია, სადაც გამოსახვის ფორმა კვლავ იძენს თავის არქაულ თვისებებს.

გლობალური კულტურის ყოვლისმომცველი შიში „სხვების“ მიმართ, იზოლაცია და მარტოობა, ჩვენი აქ და ახლა ერთად ყოფნა - სიყვარულის აქტია. გადაწყვიტო, გაატარო შენი დრო, შორს ინდივიდუალური თვით-ინდულგენციებისგან, ჩვენს უაღრესად მომხმარებლურ საზოგადოებაში.. შეანელო, დაინახო სხვა - ეს პოლიტიკური აქტია, სულგრძელობის გამოხატულებაა.

დიდი იდეოლოგიების ნგრევის შემდეგ, და როგორც მიმდინარე მსოფლიო წესრიგი ადასტურებს თავის მარცხს დეკადების განმავლობაში, როგორ შეიძლება ჩვენ წარმოვიდგინოთ ჩვენი მომავალი? როგორც უსაფრთხოება და კომფორტი არის მთავარი საზრუნავი და პრიორიტეტი უპირატესი დისკურსების დროს, შეგვიძლია

ჩვენ მაინც ჩავერთოთ არასასიამოვნო დისკუსიებში? შეგვიძლია ჩვენ გადავკვეთოთ სახიფათო ტერიტორიები ჩვენი პრივილეგიების დაკარგვის შიშის გარეშე?

დღეს, ინფორმაციის სიჩქარე ცოდნაზე მნიშვნელოვანია, ლოზუნგები სიტყვებზე ღირებული და ცხედრების სურათები უფრო პატივსაცემია, ვიდრე თავად ადამიანთა სხეულები. თეატრი აქ იმისთვისაა, რათა შეგვახსენოს რომ ჩვენ სისხლისა და ხორცისგან შევდგებით, და ჩვენს სხეულებს აქვთ წონა. ის აქ არის იმისთვის, რომ გააღვიძოს ჩვენი ხუთივე გრძნობა, გვითხრას რომ ჩვენ, მხოლოდ ჩვენი თვალთახედვით არ უნდა გავზომოთ. თეატრი აქ არის იმისთვის, რომ დაუბრუნოს სიტყვეს ძალა და მნიშვნელობა. რომ ჩამოაშოროს დისკურსი პოლიტიკოსებს და დააბრუნოს თავის კანონიერ ადგილას.. დებატებისა და იდეების არენაზე, კოლექტიური ხედვის სივრცეში.

ამბის თხრობისა და წარმოსახვის ძალის მეშვეობით თეატრი სამყაროს და ერთმანეთის გვაძლევს ხედვის ახალ გზებს, დაუძლეველი შეუწყნარებლობის შუაგულში გვიხსნის სივრცეს საერთო ფიქრისთვის, როდესაც ქსენოფობია, სიძულვილის ენა და თეთრი რასის უზენაესობა ისევ დღის წესრიგშია, წლების დაუღალავი შრომისა და მსოფლიოს გარშემო მილიონობით ადამიანის მსხვერპლშეწირვის შემდეგაც კი. როდესაც თინეიჯერ გოგოებსა და ბიჭებს ხვრიტავენ და აპატიმრებენ უსამართლობაზე და აპარტეიდზე უარის თქმის გამო.. როდესაც შეშლილი მმართველები და მემარჯვენე დესპოტიზმი მართავს ზოგიერთ მთავარ ქვეყანას. როდესაც ბირთვული ომი მოსალოდნელია, როგორც ვირტუალური თამაში, მმართველ-ბავშვებს შორის. როდესაც გადააგდილება ხდება უფრო და უფრო შეზღუდული, რამდენიმე რჩეულის გარდა, მაშინ როდესაც ლტოლვილები კვდებიან ზღვებზე, უფრო და უფრო ძვირადღირებული კედლები შენდება. სად უნდა დავაყენოთ კითხვის ქვეშ ჩვენი მსოფლიო, როდესაც მედიის უმეტესობა გაყიდულია?! სხვაგან სად თუ არა თეატრში, იქ ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ ჩვენი ადამიანური ყოფა, რათა წარმოვიდგინოთ ახალი მსოფლიო წესრიგი, ერთობლივად, სიყვარულითა და თანაგრძნობით, მაგრამ ასევე შემოქმედებითი დაპირისპირებით, ინტელექტისა და ძალის მეშვეობით.

გამომდინარე იქედან, რომ წარმოვადგენ არაბეთის რეგიონს, შემიძლია ვისაუბრო იმ სირთულეებზე, რასაც მსახიობები აწყდებიან მუშაობის დროს. მაგრამ, მე წარმოვადგენ

თეატრის იმ თაობას, ვინც თავს პრივილეგირებულად გრძნობს, რადგან კედლები, ჩვენ რომ უნდა დავანგრიოთ, ყოველთვის ხილული იყო. ამ ყველაფერმა ჩვენ მიგვიყვანა იქამდე, რომ ვისწავლეთ როგორ უნდა შეგვეცვალა ის რისი შეცვლაც შესაძლებელი იყო. თეატრის კეთება სარდაფებში, სახურავებზე, მისაღებ ოთახებში და ყველგან, ქუჩებში, ჩვენ ვიკრებდით ჩვენს მაყურებელს სადაც მივდიოდით, ქალაქებში, სოფლებში თუ ლტოლვილთა ბანაკებში. ჩვენ ყოველთვის გვქონდა იმის უპირატესობა, რომ დაგვეწყო შენება ნულიდან და გვეპოვნა გზები ცენზურისგან თავის დასაცავად. დღეს ამ კედლების წინაშე დგას მსოფლიოს თეატრის ყველა მოღვაწე, რადგან დაფინანსება არასდროს ყოფილა ასეთი მწირი და პოლიტკორექტულობა გახდა ახალი ცენზორი.

ამგვარად, თეატრის საერთაშორისო გაერთიანებამ, დღეს ისე როგორც არასდროს კოლექტიურად უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი, იმისთვის რომ დავანგრიოთ მატერიალური თუ არამატერიალური კედლები. დღეს, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე არის იმის საჭიროება, რომ შემოქმედებითად გარდავქმნათ სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები, რომ გავაპროტესტოთ ჩვენი მწირი შემოსავლები და ავიღოთ პასუხიმგებლობა იმ მსოფლიოზე, რისი ნაწილიც ვართ. რადგან თეატრის შემოქმედნი მთელს მსოფლიოში, არ მივყვებით ერთ იდეოლოგიასა და სისტემას, მაგრამ ჩვენ გვაქვს საერთო - მარადიული ძიება სიმართლისა ყველა ფორმაში, ჩვენ გამუდმებით კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ სტატუს ქვოს, დღეს ჩვენ გამოწვევის წინაშე ვდგავართ, მჩაგვრელი ძალადობრივი სისტემის წინაშე, მაგრამ არანაკლებ ჩვენი ადამიანური მთლიანობის.

ჩვენ ბევრნი ვართ, შეუპოვრები ვართ და აქ იმისთვის ვართ, რომ დავრჩეთ!

Translation Ana Kvinikadze

Biography- მაია ზბიბი

მაია ზზიბი არის თეატრის რეჟისორი, პერფორმერი, მწერალი, თეატრალური კომპანია Zoukak-ის თანადამფუძნებელი

მისი შემოქმედება ნაჩვენებია ახლო აღმოსავლეთში, ევროპაში, შეერთებულ შტატებში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ აზიაში. იგი ასწავლის თეატრს საერთაშორისო მასშტაბით, აკადემიურ და ასევე არააკადემიურ დონეზე. მას უმუშავია NYUAD საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში, ჰიუსტონის უნივერსიტეტში, უილიამსის კოლეჯში, ფესტივალებისთვის: Shwindlefrie Festival, LIFT Festival და სხვა მრავალს შორის - The Royal Court თეატრში. Zoukak-ის თეატრმა მიიღო იბსენის ჯილდო 2012 წელს, შირაკის ფონდის ჯილდო „კულტურა მშვიდობისთვის“ (2017) და სხვა მრავალი.